

ტექნიკური დავალება

შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს ავტოგასამართ სადგურებზე არსებული სარეზერვუარო პარკის გაწმენდითი სამუშაოები

ძირითადი მოთხოვნები:

1. შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ცალკეული რეზერვუარებიდან პროდუქტის ნაწილობრივი დაცლა დამკვეთის მიერ მოხდება ეტაპობრივად და ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე შემსრულებელს მოეწოდება ერთი დღით ადრე, ხოლო შემსრულებელმა სამუშაო უნდა განახორციელოს შეტყობინებიდან მეორე დღეს. სამუშაოს შესრულება ერთ რეზერვუარზე არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს;
2. შემსრულებლის ვალდებულებაა ცალკეული რეზერვუარიდან ამოიღოს ე.წ. მკვდარი ნაშთი, დააგროვოს და იმ შემთხვევაში, თუკი პროდუქტი დამკვეთის მიერ შეფასებული იქნება უვარგისად, მოახდინოს მისი ტერიტორიიდან გატანა და უტილიზაცია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;
3. სამუშაოს სრულად ჩატარების შემდგომ უნდა განხორციელდეს რეზერვუარზე არსებული მოწყობილობების დაერთება და პროდუქტის საცდელი გაშვება.
4. სამუშაოს სრულყოფილად დამთავრების აქტს ხელს აწერს შემსრულებელი და ობიექტის მენეჯერი;

დამკვეთი იღებს ვალდებულებას, რომ ზემოაღნიშნულ რეზერვუარებს მოამზადებს და გადაცემს შემსრულებელს არაუმეტეს 120 კალენდარული დღის განმავლობაში.